პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 190 (9966) | ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა ადამიანის მორალური სახე — „პრავდის“ 11-VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები (1-ლი გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. — რუს და ქართველ კოლმეურნეთა დაუვიწყარი შეხვედრა (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი იმერეთის კოლმეურნეობაში (მე-2 გვერდი).

აღვკვეთოთ ნაკლოვანებანი, მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს (მე-2 გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერ ნაზე მიღებული გამოცდილება! — [illegible] სოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა ნაამბობი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ადამიანის მორალური სახე

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა, კაპიტალისტური წესების დანგრევა და სოციალიზმის აშენება მოასწავებდა არა მარტო ეკონომიური სისტემისა და პოლიტიკური წყობილების შეცვლას, არამედ აგრეთვე თვით ადამიანის ძირეულად გარდაქმნას, მისი მორალური სახის შეცვლას. „ჩვენი ამოცანაა, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — დავამარცხოთ კაპიტალისტთა მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეური წინააღმდეგობაც, რომელიც ყველაზე უფრო ღრმა და ძლიერია“.

ადამიანის სულიერი სახის შეცვლა, მასში ახალი მორალური თვისებების დანერგვა — ასეთი ამოცანა არ დაუსახავს და არც შეიძლება დაესახა არც ერთ კლასს, გარდა მუშათა კლასისა, არც ერთ პარტიას, გარდა კომუნისტური პარტიისა. მასშტაბების გრანდიოზულობის, სიძნელისა და მნიშვნელობის მხრივ ამ ამოცანის ბადალი არ ყოფილა მსოფლიო ისტორიაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ არა თუ დაისახა იგი, არამედ წარმატებითაც გადაჭრა.

ექსპლოატატორული წყობილება სულიერად ამახინჯებს ადამიანებს, მხეცურ ზნე-ჩვეულებებს უნერგავს მათ. კაპიტალიზმის პირობებში, რომლის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, ეკონომიური ურთიერთობა წარმოშობს კაცთმძულეობის მორალს, მამრალის არსი ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება პრინციპით „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. ადამიანთა სულიერი გახრწნისათვის კაპიტალიზმი ფართოდ იყენებს ყველა საშუალებას — ლიტერატურას, კინოს, რადიოს, ხელოვნებას, რომლებიც თავით ბოლომდე გამსჭვალულია ძალადობისა და მკვლელობის იდეებით, რელიგიას, რომელიც ქადაგებს მორჩილებას ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, ალკოჰოლს.

სოციალიზმი, სადაც ცხოვრების საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა ხაზოგადოებრივი საკუთრება, სადაც წარმოების მიზანია საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, ძირფესვიანად უარყოფს ბურჟუაზიულ მორალს, ეერძო მესაკუთრულ ჩვეულებს. იგი ამკვიდრებს ახალ ურთიერთობას ადამიანებს შორის, ახალ კულტურას, რომელიც გამსჭვალულია ჰუმანიზმის იდეებით, ახალ მორალს, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს.

საბჭოთა წყობილების დიდი მონაპოვარია ადამიანის ახალი მორალური სახის ფორმირება. საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. ეს თვისებები ყოველდღე ვლინდება ჩვენს შესანიშნავ დროში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, ჩვენს გმირულ შუმაობაში კომუნიზმის აშენებისათვის. კომუნისტური პარტიის გულმოდგინე და მიზანდასახული აღმშრდელობითი მუშაობის შედეგად ჩვენმა ადამიანებმა მოიშორეს ძველი სამყაროს ზნეობრივი ძველმანები, სულიერად გარდაიქმნენ. ქვეყნად გაჩნდა ადამიანი ახალი პოლიტიკურ-მორალური თვისებებით — ჩვენი, საბჭოთა ადამიანი!

კომუნიზმისათვის ბრძოლამ საბჭოთა ადამიანების მთელი საქმიანობა აავსო ახალი შინაარსით, გააკეთილშობილა ისინი, ისეთ ზნეობრივ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზეც შეუძლებელია ასვლა კაპიტალიზმის პირობებში.

მაღალი იდეურობა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, კომუნიზმის დიდი საქმისადმი ერთგულება, შინაგანი მთლიანობა და დაუცხრომელი ენერგია, შრომის სიყვარული და სიძნელეთა გადალახვის უნარი, მატერიალისტური მსოფლმხედველობა და ინტერნაციონალისტური იდეოლოგია, კოლექტივიზმი და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების თანმიმდევრულად დაცვა — აი რა ახასიათებს საბჭოთა ადამიანის მორალურ სახეს. ამ თვისებებს უნერგავენ მას ბავშვობიდან, სკოლაშივე, ამ თვისებებს ავითარებს და ნერგავს მთელი ჩვენი ყოველდღიური სინამდვილე, მთელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესი.

საბჭოთა ადამიანი არის საზოგადოებრივი მოვალეობის ადამიანი, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს საზოგადოების ინტერესებს, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს. და ეს ბუნებრივია: იგი თავს გრძნობს ჩვენი ქვეყნის პატრონად, მისი სახელოვანი ისტორიის შემოქმედად, დიდი კომუნისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილედ.

ჩვენი ადამიანების სოციალისტური შეგნება, მათი მგზნებარე პატრიოტიზმი თავის გამოხატულებას პოულობს უწინარეს ყოვლისა შრომისადმი როგორც მამაცობისა და გმირობის საქმისადმი მათი დამოკიდებულებით, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი როგორც თავისი ბედნიერებისა და აყვავების საფუძვლისადმი მათი დამოკიდებულებით. სოციალიზმმა უსაზღვრო შესაძლებლობანი დასახა შრომითი საგმირო საქმეებისათვის, მილიონობით ადამიანის — მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენციის შთაგონებული შემოქმედებისათვის. საბჭოთა ადამიანს, სადაც უნდა შრომობდეს იგი, თავის მოვალეობად მიაჩნია განუწყვეტლივ ამაღლოს შრომის ნაყოფიერება, აუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, შეამციროს მისი თვითღირებულება. ამით გამოიხატება უმაღლესი მორალი თავისუფალი მშრომელისა, რომელიც მუშაობს თავისთვის, მთელი საზოგადოებისათვის, თავისი სოციალისტური სახელმწიფოსათვის.

შრომითი გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა ჩვენს ქვეყანაში. შრომითი გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეები, რომელთა რიგები დღითიდღე იზრდება. ჩქაროსანმა ხარატებმა პ. ბიკოვმა, გ. ბორტკევიჩმა, ვ. კოლესოვმა და სხვებმა ომისშემდგომ წლებში ლითონების ჭრის სიჩქარე 10-15-ჯერ გაადიდეს. სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის, ქვანახშირის შახტების გაყვანის, ლითონის გამოდნობის, მშენებლობის ჩქაროსნულ მეთოდებს.

საბჭოთა ადამიანების ახალი პოლიტიკურ-მორალური თვისებები განსაკუთრებული ძალით მჟღავნდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. მხოლოდ მაღალი მორალის ადამიანებს შეეძლოთ განეხორციელებინათ ისეთი შრომითი გმირობა, როგორიც არის მიმდინარე წელს მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება მარცვლეული კულტურების დასათესად ყაზახეთისა და ციმბირის თვალუწვდენ ველებზე. ჩვენი საბჭოთა მორალის აზრის დამადასტურებელი მადლიან მასალას იძლევიან კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთა შრომითი გამარჯვებანი! მარკ ოზერნოიმ მიიღო სიმინდის სარეკორდო მოსავალი — 224 ცენტნერი ჰექტარზე. სახალხო ხელოვნიერი ნაზარალი ნიაზოვი ჰექტარზე იღებს 85-90 ცენტნერ ბამბას. კოლმეურნე მართა ხუდოლიიმ მიიღო 800 ცენტნერი კარტოფილი ჰექტარზე. დაუცხრომელი და ნიჭიერი კოლმეურნე მეცნიერი-მცდელი ტერენტი მალცევი იმიერურალის ველების მკაცრ ბუნებას უმორჩილებს ადამიანის ნებას და ყოველწლიურად მოჰყავს საგაზაფხულო ხორბლის უზარ მოსავალი. განსაკუთრებით დიდ წვეულებას მიაღწიეს მოწინავე მწველავმა კოლმეურნეებმა, რომლებიც თითო ძროხაზე წელიწადში ხუთ, ექვს, რვა ათას ლიტრ და მეტ რძეს იღებენ.

ჩვენი ხალხის დიდი პატრიოტული აღმავლობის ფონზე, იმის ფონზე, რომ მილიონობით მუშა, გლეხი, ინტელიგენცია არ იშურებენ ძალღონესა და შრომას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით შეუწყნარებელია მუქთახორობის, ზარმაცობის, გაცდენის, წუნისმკეთებლობის ფაქტები. საბჭოთა ადამიანებს არ სურთ შეურიგდნენ ასეთ ფაქტებს, რადგან ასეთი მოქმედება შეუთავსებელია მათ მორალთან — კომუნიზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა მაღალ და წმიდა მორალთან.

ცალკეული ჩამორჩენილი ადამიანების დაუდეგარი დამოკიდებულება სოციალისტური წარმოებისადმი ჩვენს ხალხს კაპიტალიზმის შეუწყნარებელ და საზიზღარ ნაშთად მიაჩნია.

სწორედ ამიტომ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ნამდვილი სოციალისტური დამოკიდებულების დანერგვისათვის ბრძოლა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი აღმშრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების უპირველესი თემაა.

საბჭოთა ადამიანის ახალი სულიერი სახე თავის გამოხატულებას პოულობს მისი კულტურის მაღალი დონით, მისი მატერიალისტური მსოფლმხედველობით, ცოდნის დაუცხრომელი წყურვილით. ჩვენი მორალი — მოწინავე, შეგნებულ კულტურულ ადამიანთა მორალი, პროგრესისათვის თავდადებულ და რწმენით აღსავსე მებრძოლთა მორალი — მოითხოვს გადამწყვეტ და შეურიგებელ ბრძოლას ყოველგვარი რელიგიური ნაშთებისა და ცრურწმენის წინააღმდეგ, რომლებიც სულიერად ასახიჩრებენ და ამცირებენ ადამიანს.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, რომლებიც გამსჭვალულია ადამიანისადმი ადამიანის პატივისცემით. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წესები ყველას შეთვისებული აქვს. ჩვენში არის, მაგალითად, ისეთი მახინჯი ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, როგორიც არის ლოთობა და ხულიგნობა. შეუძლებელია შევურიგდეთ ამ დიდ ბოროტებას, რომელიც ლახავს საზოგადოებისა და ოჯახის ინტერესებს, ასუსტებს ჩვენი ადამიანების ერთი ნაწილის შემოქმედებითს აქტივობასა და შრომის დისციპლინას, იწვევს ამორალურ საქციელს, რომელიც ჩირქს სცხებს საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

ვამაყობთ რა დიდი წარმატებებით მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, შევხართრა ამ წარმატებებს, ჩვენ ამავე დროს არ შეგვიძლია დავივიწყოთ აღმშრდელობითი მუშაობის ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანები. კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები ჩვენში ჯერ კიდევ მთლიანად არ აღმოფხვრილა. გარდა ამისა, ჩვენ არა ვართ დაზღვეული, რომ ჩვენს წრეში არ შეაღწევს უცხო შეხედულებანი და იდეები გარედან, კაპიტალისტური გარემოცვიდან.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დავძლიოთ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ კიდევ უფრო მეტი ინიციატივით, სიმტკიცით და მიზანსწრაფვით უნდა გამოიყენონ იდეური ზეგავლენის ყველა საშუალება მშრომელთა შეგნების დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა მორალის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა მაღალი და კეთილშობილური მორალის განმტკიცებისათვის.

„პრავდის“ 11-VIII მოწინავე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

რუს და ქართველ კოლმეურნეთა დაუვიწყარი შეხვედრა

მოსკოვი. (სპეც. კორ.). ათ დღეზე მეტი გავიდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღიდან, მაგრამ ოდნავაც არ შემცირებულა დამთვალიერებელთა ნაკადი. პირიქით, თანდათანობით მატულობს ექსკურსანტთა რაოდენობა. ადამიანები გულდასმით სწავლობენ სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის მოწინავეთა გამოცდილებას, პირადად ეცნობიან სახელგანთქმულ პურის მომყვანებს, მეცხოველეებს, მექანიზატორებს, იმათ, ვინც თავისი შემოქმედებითი შრომით ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

რსფს რესპუბლიკის პავილიონში ახლახან ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის და ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

ლენინის რაიონის კოლმეურნეობათა წარმატების შესახებ პავილიონში გამოფენილია სპეციალური სტენდი, ფოტოსურათები და ექსპონატები. რაიონში მეცხოველეობას და მებაღჩეობა-მებოსტნეობას წამყვანი ადგილი უკავია. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობებმა 1946 წლიდან 1953 წლამდე ძროხების რაოდენობა გაზარდეს სამჯერ. ახლა კოლმეურნეობებში 5-ჯერ მეტ სასაქონლო ხორცსა და რძეს იღებენ, ვიდრე 1946 წელს. თვითეული ძროხის წველადობა რაიონში ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ წელიწადში 2.800 კილოგრამს შეადგენს.

შეხვედრაზე, რამაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, თავიანთი გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს პარტიის ლენინის რაიკომის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ბელიკოვმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ზაიცევმა. კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ ფერმის ძროხების მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. ზარანინა შეხვედრის დამწყებრეთ ვრცლად ესაუბრა ძროხების მაღალი პროდუქტიულობის მიღწევის ხერხებსა და მეთოდებზე.

— გასულ წელს, — თქვა მან, — ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ თვითეულ ძროხაზე 5 ათასზე მეტი კილოგრამი რძე მოვწველე. ამას მივაღწიე პირუტყვის საუკეთესო მოვლა-პატრონობით და ნოყიერი, წესიერი კვებით. ჩვენს კოლმეურნეობაში შემოღებულია ზამთრობით პირუტყვის ბაგური კვება, ხოლო ზაფხულში — მწვანე კონვეიერი. ეს დიდად გვიწყობს ხელს პროდუქტიულობის ამაღლებაში.

პარტიის რაიკომის მდივანმა მტს-ის დარგში ამხ. ვ. ცეტკოვმა სტუმრებს უამბო რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობათა წარმატების შესახებ.

— ჩვენს რაიონში, — აღნიშნა მან, — 18 კოლმეურნეობაა. აქედან შარშან მილიონერი იყო 13. მიმდინარე წელს მილიონ მანეთზე ნაკლები შემოსავალი არცერთ კოლმეურნეობას არ ექნება. დიდ ყურადღებას ვაქცევთ პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და ფერმების მშენებლობას, 9 კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმები მთლიანად მექანიზებული და ელექტროფიცირებულია. შემდეგ ამხ. ცეტკოვმა ილაპარაკა ვლადიმერ ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ.

— ეს კოლმეურნეობა მდებარეობს ღირსშესანიშნავ ადგილას, გორკაში. აქ ისვენებდა და შრომობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ამ სოფელში ცევრია ისეთი კოლმეურნე, რომელსაც კარგად ახსოვს ლენინთან საუბრები. აღსანიშნავია, რომ ილიჩის რჩევითა და დახმარებით გორკაში ელექტრონათურები 1921 წლის მაისში ანთო.

დიდი ცვლილებები მოხდა აქ გენიალურ ბელადთან დაუვიწყარი შეხვედრის შემდეგ. კოლმეურნეობა, რომელიც 1924 წელს შეიქმნა და დიდი ლენინის სახელს ატარებს, მოსკოვის ოლქში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. 1953 წელს არტელის ფულადმა შემოსავალმა 3.600 ათას მანეთს მიაღწია.

კოლმეურნეები დიდად ზრუნავენ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ყოველწლიურად საკოლმეურნეო მინდვრებში შეაქვთ 10 ათასზე მეტი ტონა ორგანული სასუქი და საკმაო რაოდენობით მინერალური სასუქები.

აგროტექნიკის მტკიცედ დაცვითა და მექანიზაციის ფართოდ გამოყენებით კოლმეურნეობაში მეურნეობის ყველა დარგი მაღალშემოსავლიანია. საშუალოდ ჰექტარზე მოჰყავთ 20-25 ცენტნერი ხორბალი. 1952-1953 წლებში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 190 ცენტნერი კარტოფილი და 409 ცენტნერი კომბოსტო მიიღეს.

გორკაში არსებობს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობის, მეფრინველეობის, მეკურდღლეობის და მეცხენეობის ფერმები, რომლებიც დაწესებულ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

კოლმეურნეობაში მისდევენ სიმინდის მოყვანას. თუ 1953 წელს სიმინდი დათესილი ჰქონდათ 5 ჰექტარზე, ახლა დათესილი აქვთ ოთხჯერ მეტი, მთელი ფართობი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივად. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობამ, ისე როგორც მთლიანად ლენინის რაიონმა, გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა.

მოსკოველ ამხანაგებს ქართველმა კოლმეურნეებმა ბევრი შეკითხვა მისცეს და თავისი გამოცდილება გაუზიარეს.

მასპინძლებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს ზუგდიდის რაიონის მილიონერი ბრიგადის ბრიგადირს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ამხ. თ. ყუფუნაას, ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ლ. ელეჭჩიანს და სხვებს.

რუსმა და ქართველმა კოლმეურნეებმა ერთმანეთს აღუთქვეს პრაქტიკულ მუშაობაში გამოიყენონ ის ძვირფასი გამოცდილება, რაც მათ ამ დაუვიწყარი შეხვედრის დროს მიიღეს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორიოდე კვირა დარჩა. 1 სექტემბერს კვლავ შეაღებენ სკოლის კარებს ჩვენი დიდი ქვეყნის ლაღ ახალგაზრდები... განახლდება სწავლა.

სკოლის მუშაობის შემდგომი წარმატება, სწავლა-აღზრდის ახლებურად მოწყობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადნენ სკოლები, სახალხო განათლების ორგანოები ახალი სასწავლო წლისათვის.

საქართველოს სსრ სკოლებს წელს ყველა პირობა ჰქონდათ იმისათვის, რომ შეექმნათ მტკიცე ბაზა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დამთავრებამდე სკოლებს, სახალხო განათლების ორგანოებს, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსა და საბჭოთა ორგანოებს დაუსახეს კონკრეტული ამოცანები, თუ როგორ უნდა მომზადებულიყვნენ ახალი სასწავლო წლისათვის. ამავე დროს ახალ სასწავლო წელს სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის საკავშირო მთავრობამ გაატარა სერიოზული ღონისძიებანი — შემოიღო ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, რომელიც დიდად წასწევს წინ სწავლების ხარისხს, აამაღლებს შეგნებულ დისციპლინას სკოლებში.

როგორ მოემზადნენ საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლები და სახალხო განათლების ორგანოები ახალი სასწავლო წლისათვის, როგორ ასრულებენ ისინი ხალხის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებას სკოლებისათვის მკვედრი მატერიალური და სააღმზრდელო ბაზის შექმნის შესახებ?

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ იმ რეიდის მასალებს, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო ადგილობრივი გაზეთების მუშაკებთან და აქტივ-კორესპონდენტებთან ერთად. გამოვლინდა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლები და სახალხო განათლების ორგანოები თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს, შეადგინეს მტკიცე გეგმა, სწორად გაანაწილეს ძალები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სკოლების მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

როცა შეაღებთ ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის კარს, გეხიამოვნებათ. საკლასო ოთახები გულდასმით არის შეკეთებული, შედებილია ყველა მერხი, წესრიგზეა მოყვანილი კაბინეტ-ლაბორატორიები. ცარიელ კი მომარაგებულია. ასეთი მდგომარეობაა თბილისის მთელ რიგ სკოლებშიც. ახმეტის 8-წლიანი სკოლა, რომლის კეთილმოწყობისათვის წელს ზრუნავდნენ არა მარტო სახალხო განათლების ორგანოები, არამედ კოლმეურნეობა, სასოფლო საბჭო, ყოველმხრივ მზად არის იმისათვის, რომ 1 სექტემბერს ფართოდ გაუღოს კარი ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობას.

სამწუხაროა, რომ სკოლებისათვის ზრუნვის ასეთი საერთო-სახალხო მოძრაობის დროს კიდევ არიან სასწავლებლები, რომლებსაც თითქოს არ ეხებათ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. მათი დირექტორები და გამგეები აგარაკებზე ისვენებენ.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ წყალტუბოს საშუალო სკოლის შენობა უყურადღებოდ მიუტოვებიათ როგორც განათლების განყოფილებას, ისე სკოლის დირექციას.

სოფელ ყვარელწყალის (ახმეტის რაიონი) სკოლის გამგე დ. ბეჟაშვილი დასასვენებლად წასულა, ხოლო სკოლის შენობა კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. ნონიაშვილი) აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად გამოუყენებია.

სკოლის დირექციისა და განათლების განყოფილების ცუდი მუშაობის შედეგია, რომ თბილისის სტალინის რაიონის სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი 720 ათას მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 373 ათასი მანეთი, ხოლო ზუგდიდის რაიონის სკოლებისათვის გამოყოფილი 405 ათასი მანეთიდან მხოლოდ 135 ათასი მანეთი.

ასეთი ფაქტი ერთი და ორი როდია.

1 სექტემბრამდე დრო ცოტა დარჩა. საჭიროა სკოლის ხელმძღვანელებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და საბჭოთა ორგანოებმა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო, ყველა ზომები მიიღონ იმისათვის, რომ სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით. მიუხედავად იმისა, რომ წელს რამდენიმე ასეულ ათასი ეგზემპლარით მეტი სახელმძღვანელო დაიბეჭდა, ვიდრე შარშან, წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სრული წესრიგი დაემყარებინათ სახელმძღვანელოებით ვაჭრობის საქმეში. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა სახელმძღვანელოები ხელში უვარდებათ შემთხვევით პირებს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით ვაჭრობის სამმართველომ, ცეკავშირმა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლებისათვის საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფას. თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ეს ნაკვეთი, როგორ უნდა დაუკავშიროს მასწავლებელმა პრაქტიკული მუშაობა თეორიულ სწავლებას, ამის მკაფიო მაგალითს იძლევა ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის ეზოში მოწყობილი საცდელი მიწის ნაკვეთი. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ მოსწავლეები პრაქტიკულად გაეცნონ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს.

საჭიროა ყველა სკოლას გამოეყოს სასწავლო მიწის ნაკვეთი, მით უმეტეს, რომ წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნება საგანი — ხელგარჯილობა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმე ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობით როდი ამოიწურება. სკოლის სამოქმედო რაიონში მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით კლასების დაკომპლექტება, გაკვეთილების განაწილება მასწავლებლებზე, პროგრამების გაცნობა-დამუშავება, სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით — აი ამოცანები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რაიონულმა განათლების განყოფილებებმა, სკოლებმა.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერი უნდა იყოს მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მუშაობა. მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების გაცნობასთან ერთად თათბირზე უნდა დაისახოს ახალი ამოცანები, ახალი პერსპექტივები. აგვისტოს თათბირებმა მასწავლებლები უნდა დარაზმონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე დასაყენებლად.

ჩვენს ქვეყანაში სკოლა გარემოსილია საყოველთაო-სახალხო მზრუნველობით. მას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ წარმატებით აღზარდოს ახალგაზრდობა, ჩაუნერგოს მას მეცნიერების სიყვარული, გამბედაობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის სკოლები მაქსიმალურად გამოიყენებენ დარჩენილ დროს, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ახალ სასწავლო წელს სავსებით მომზადებული შეხვდნენ.

მოსავლის აღების გეგმა შეასრულეს

თბილისის გარეუბნის რაიონის დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 8 აგვისტოსათვის 108 პროცენტით შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა. აღებულია 1.846 ჰექტარი პური ნაცვლად 1.700 ჰექტარისა.

მოსავლის აღებაში თავი ისახელეს კომბაინერებმა ზ. აბუაშვილმა, გ. ბერიტაშვილმა და ა. ბერიაშვილმა.

მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა 5 აგვისტოსათვის 102,9 პროცენტით შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კომბაინერები გ. მამუკაშვილი, ს. შომიაშვილი, მ. ფარსმანაშვილი, ა. გულიაშვილი და ნ. ჯავახიშვილი. კომბაინერებმა ვალდებულება იკისრეს მკაში დაეხმარონ წალკის რაიონის ავრალოს მტს-ს.

პოლონეთში გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომი

ვარშავა, 11 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის გამომცემლობამ „წიგნი და ცოდნა“ პოლონურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. 6 აგვისტოს რსფსრ-ის პავილიონში შეიდგა საქართველოს სს რესპუბლიკისა და მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა შეხვედრა. **სურათებზე:** 1. შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფი. 2. მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ი. ზაიცევი ესაუბრება საქართველოდან ჩასულ ექსკურსანტებს.

ფოტო ლ. ველიკანინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი იმიერკავკასიის კოლმეურნეობაში

სოფელი მალცევი (კურგანის ოლქი), 9 აგვისტო. (საკუთარი). გუშინ საღამოს თათბირი განაგრძობდა ტ. ს. მალცევის მეთოდით ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ახალი ხერხების განხილვას.

კურგანის ოლქის მაკუშინოს საცდელი მინდვრის აგრონომმა ამხ. სიროპინმა დამსწრეთ უამბო აგროტექნიკის ახალი ხერხების წარმატებით დანერგვაზე და შეიტანა წინადადება, რაც შეიძლება მალე განაზოგადონ კოლმეურნეობაში „ზავეტი ლენინა“ და ოლქის სხვა მეურნეობებში შეძენილი ძვირფასი გამოცდილება.

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. ზჩერბინინმა აღნიშნა ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდების დიდი მნიშვნელობა ყაზახეთისათვის. მან დამსწრეთ აცნობა, რომ კარგი შედეგებია მიღებული რესპუბლიკის ცენტრალური რაიონების მინდვრებში, სადაც განახორციელეს ფენის გადაუბრუნებლად ღრმად მოხნული ნიადაგში საცდელი თესვა. უფრთო გუთნით მოხვნა დიდ სიღრმეზე ადიდებდა ნიადაგის ტენიანობას, მარცვლეული კულტურების მოსავალი ყველა შემთხვევაში სამი-ოთხი ცენტნერით მეტი იყო, ხოლო კარტოფილისა — ოთხი-ექვსი ტონით მეტი ჰექტარზე. ორატორი დაასკვნის, რომ მალცევის სისტემა შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ყაზახეთის მიწათმოქმედებაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ეელიან რაიონებში.

დიდ ეკონომიურ სარგებლობაზე, რომელსაც იძლევა ნიადაგის დამუშავება მალცევის მეთოდით, ილაპარაკა კოქჩეტავის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ამხ. მოსოლოვმა.

სტავროპოლის მხარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ლისკინმა გამოთქვა აზრი, რომ მალცევის მიერ შემუშავებული აგროტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩრდილოეთ კავკასიის პირობებში.

— ჩვენი საცდელი სადგური, — ამბობს იგი, — მეორე ასეთი სადგურია საბჭოთა კავშირში. იგი მუშაობს უდიდეს კოლმეურნეობაში და თავის გეგმაში შეიტანა ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდები.

ამხ. ლისკინმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი იმ თანამოხსენებებისა, რომლებიც თათბირზე გააკეთეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის მუშაკებმა. მათ არ მოუცია გარკვეული მეცნიერული დასკვნები მალცევის მეთოდით დამუშავებული მინდვრების გამოკვლევის შედეგების შესახებ. შემდეგ მან ილაპარაკა საწარმოო და მეცნიერულ მუშაობაზე თავის კოლმეურნეობაში.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. ვასილენკომ. მან აღნიშნა, რომ ნიადაგის დამუშავებისა და თესვის მეთოდები, რომლებიც ამხ. მალცევმა განახორციელა, მნიშვნელოვნად ადიდებენ მოსავლიანობას და მოითხოვენ ახალი მექანიზმების შექმნას.

კურგანის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსმა ამხ. კესლერმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მალცევის აგროტექნიკური კომპლექსის გამოყენების შედეგად ოლქის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ექვსი-შვიდი ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღეს თვითეულ ჰექტარზე.

— მიუხედავად ახალი სისტემის ეფექტიანობისა, — აღნიშნავს ორატორი, — რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასწორად ეკიდება პროგრესულ აგროხერხებს. 1954 წელს მან გამორიცხა მტს-ებისათვის შედგენილი გეგმებიდან საანეულო ხვნა ოცდაათ სანტიმეტრზე მეტ სიღრმეზე.

პროფესორმა სოკოლოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მალცევის მუშაობას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. იგი ამბობს, რომ საცდელ სადგურებში და სხვა სამეცნიერო-საკვლევ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული ახალი პროგრესული მეთოდების შესწავლა.

— უკრაინის დელეგაციამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა ამხ. მალცევის შინაარსიანი მოხსენება, — განაცხადა ოდესის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ნაზარენკომ, — და დიდი ინტერესით გაეცნო საცდელ მინდვრებში მოწმენავე აგროტექნიკას. ჩვენ ბევრი რამ საინტერესო და სასარგებლო ვნახეთ. ანეულის დამუშავების ახალი სისტემა, ისევე როგორც ნიადაგის დამუშავების სხვა მეთოდები, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სიმინდის, ბამბის, ჭარხლის მოყვანაში.

დღეს კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ საცდელ მინდვრებში უკვე დილაადრიან შეხვდებოდით მეცნიერებს, აგრონომებს, მექანიზატორებს, კოლმეურნეებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოლქიდან არიან ჩამოსულნი. უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა დღეს დილით, სხდომების დაწყებამდე, შადრინსკის რაიონის პონკინსკის მტს-ის ზონის სასოფლო-სამეურნეო არტელების მინდვრებში. ეს სადგური ფართოდ ნერგავს ნიადაგის დამუშავების მალცევის ხერხებს.

დილის სხდომა დაიწყო საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრის ამხ. მოისეევის გამოსვლით.

— ამხ. მალცევის მიერ შემუშავებული ახალი აგროტექნიკა მოითხოვს ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი მანქანების შექმნა ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის ორგანიზებული. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მოკლე ვადაში შევქმნათ მანქანები ახალი აგროტექნიკით სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესასრულებლად.

ამხ. მოისეევი ლაპარაკობს გუთნების, სათესავებისა და სხვა იარაღების გაუმჯობესებაზე, რაც აუცილებელია, რათა წარმოებულ იქნას უფრთო გუთნით ღრმად ხვნა და მიწის შემდგომი დამუშავება ახალი მეთოდებით.

შემდეგ გამოვიდნენ უკრაინის მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზადონცევი, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე ამხ. კალჩენკო, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი ამხ. ჟელიგოვსკი, ყაზახეთის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბარაევი და კურგანის საოლქო სასელექციო საცდელი სადგურის დირექტორი ამხ. მოკეევა.

თათბირის მონაწილენი გაიყვნენ შვიდ სექციად: დასავლეთ ციმბირია, ურალისა და იმიერურალის, ცენტრალური ციმბირის, ყაზახეთის, რუსეთის სფსრ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის, ჩრდილოეთ კავკასიისა და უკრაინის და მექანიზაციის სექციებად.

დღეს ნაშუადღევს და საღამოს სექციები ადგენდნენ კონკრეტულ წინადადებებს იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგონ ტ. ს. მალცევის ახალი აგროტექნიკა თავიანთი ზონების კლიმატურ. ნიადაგის და სხვა ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით.

* * *

სოფელი მალცევი (კურგანის ოლქი), 11 აგვისტო. (საკუთარი). გუშინ აქ დამთავრდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მიეძღვნა კოლმეურნეობის „ზავეტი ლენინა“ მემინდვრის, შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორის ტ. ს. მალცევის მუშაობის მეთოდების შესწავლასა და გავრცელებას. თათბირმა ოთხ დღეს გასტანა.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა შვიდი სექციის ხელმძღვანელთა მოხსენებანი. ყველა სექციამ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ამხ. მალცევის მიერ შემუშავებულ აგროტექნიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ნიადაგის ღრმად ხვნა უფრთო გუთნით და დამუშავების სხვა ახალი ხერხები შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ არა მარტო პურეულის, არამედ აგრეთვე კარტოფილის, ჭარხლის, ბოსტნეულის, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა განაგრძეს კამათი ტ. ს. მალცევის მოხსენების გამო, აგრეთვე განიხილეს სექციების ხელმძღვანელთა ცნობები.

— ცხელი ხორშაკები ხშირად ღუპავენ ათასობით ჰექტარ ჩვენს ნათესებს, — ამბობს ზალაშოვის ოლქის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. ბურჩენკო. — ჩვენი ოლქისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ბევრი სხვა რაიონის პირობებში მალცევის აგროტექნიკის სისტემა ყველაზე მეტად მისაღებია. იგი შესაძლებელს ხდის ნიადაგში შეიქმნას ტენის დიდი მარაგი, მინდვრებში მოისპოს სარეველა ბალახები. კოლმეურნეები და მექანიზატორები ახლა სწავლობენ ნიადაგის დამუშავების ამხ. მალცევის ახალ მეთოდებს. მინდვრებში მოწყობილმა ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა.

კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის პონკას მტს-ის დირექტორმა ამხ. ეფრემოვმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რაც სადგურის კოლექტივმა შეასრულა კოლმეურნეობებში ახალი აგროტექნიკური წესების დასანერგავად. ამან შესაძლებლობა მისცა მტს-ის ზონის ყველა კოლმეურნეობას მარცვლეული და სხვა კულტურების უხვი, მყარი მოსავალი მიეღო.

ამხ. ეფრემოვმა გააკრიტიკა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალი აგროტექნიკის დანერგვისადმი გულგრილობისათვის. ამხ. მალცევის მიერ შემუშავებულ აგროტექნიკას წარმატებით იყენებენ ათასობით ჰექტარზე. მაგრამ ეს ფაქტი მხედველობაში არ მიიღეს სამინისტროს ხელმძღვანელებმა. სადგურს დღემდე ვერ მიუღია გუთნები ღრმა ხვნისათვის და სხვა იარაღები, რომლებიც საჭიროა ახალი წესით ნიადაგის დასამუშავებლად. მიუხედავად ამისა, სადგური სულ უფრო ფართოდ ნერგავს ამხ. მალცევის მეთოდებს. მტს-ის ზონის ყველა კოლმეურნეობამ მოიპოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

— ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების მნიშვნელობა კოლმეურნეობაში „ზავეტი ლენინა“ თათბირის მოწვევის შესახებ, — თქვა თავის გამოსვლაში რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ფედინმა. — აქ ტ. ს. მალცევის 25 წლის ნაყოფიერი შრომის შედეგად წარმატებით მუშავდება მიწათმოქმედების ახალი სისტემა. შემოქმედებითად გამოიყენა რა საბჭოთა მეცნიერების მიღწევანი, მან დაამტკიცა, რომ ნიადაგის ნაყოფიერების შექმნა შეუძლია არა მარტო მრავალწლიან, არამედ აგრეთვე ერთწლიან ბალახებს. ნოვატორი უფრო მეტს გააკეთებდა, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სამეცნიერო დაწესებულებები მეტი ყურადღებით რომ მოჰკიდებოდნენ მის ცდებს.

ეორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა კვასნიკოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ ამხ. მალცევი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების საკითხის გადაჭრას ახალი მეცნიერული პოზიციებიდან მიუდგა. იგი წინადადებას იძლევა ღრმად შეისწავლონ ამხ. მალცევის მიერ წამოყენებული თეორიული დებულებანი და მათი გამოყენება კურგანის ოლქის კოლმეურნეობათა პრაქტიკაში, გაამუქონ ისინი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაში, აგროტექნიკის სახელმძღვანელოებში. ამხ. კვასნიკოვმა განაცხადა, რომ მეცნიერთა ჯგუფს მისი ხელმძღვანელობით დავალებული აქვს საერთო მიწათმოქმედების ახალი სახელმძღვანელოს შედგენა. იგი ეცდება ამ სახელმძღვანელოში ღირსეული ადგილი დაუთმოს მალცევის მიერ შემუშავებულ აგროტექნიკას. მან აგრეთვე შეიტანა წინადადება ნიადაგის დამუშავების ახალი ხერხები შეტანილ იქნას საკანდიდატო დისერტაციების თემებში.

სასუქების, აგროტექნიკისა და აგრონიადაგმცოდნეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ფრანცესონმა ხაზგასმით აღნიშნა ამხ. მალცევის მიერ წამოყენებული და პრაქტიკით დადასტურებული დებულების მნიშვნელობა, რომ ყველა მცენარე ადიდებს ნიადაგის ნაყოფიერებას მოსავლიანობის გადიდებისას. აგროტექნიკის ახალი სისტემა ხელს შეგვიწყობს უკეთ გამოვიყენოთ მიწა, მივიღოთ სულ უფრო უხვი მოსავალი.

ამხ. მალცევმა საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ ჯერ კიდევ ბევრი შრომა მოგველის, რათა ფართოდ გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში მიწის დამუშავების ახალი სისტემა. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა გვითვალისწინოთ კლიმატური, ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი პირობები მიწის დამუშავების მის მიერ შემოღებული მეთოდების დანერგვასას, მოფფერებულად, შემოქმედებითად, შაბლონის დაუშვებლად გამოვიყენოთ ახალი სისტემა.

შეაჯამა რა თათბირის შედეგები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მაკკევიჩმა აღნიშნა მონაწილეთა დიდი აქტივობა, ღრმა ინტერესი კოლმეურნე მეცნიერის წინადადებათა შესწავლისადმი. პლენარულ სხდომებზე და სექციებში გამოვიდა 179 მეცნიერი, პარტიული და საბჭოთა მუშაკი, აგრონომი, მექანიზატორი, სოფლის მეურნეობის მოწინავე.

სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც მოიწონეს ტ. ს. მალცევის მეცნიერული მუშაობა. თათბირმა აღნიშნა დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ამხ. მალცევის მიერ შემოღებული აგროტექნიკისა, რომლის გამოყენებამ შექმნა უხვი, მყარი მოსავლის მიღების შესაძლებლობა.

ყაზახეთის სსრ რესპუბლიკამ შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების ხვნის გეგმა

ალმა-ატა, 11 აგვისტო. (საკუთარი). ყაზახეთის სსრ რესპუბლიკამ დაამთავრა 1954-1955 წლების მოსავლისათვის ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის სახელმწიფო გეგმა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოეხნათ 6.300 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები 13 მილიონი ჰექტარიდან, რაც დაგეგმილია მთელი საბჭოთა კავშირისათვის. ყაზახეთის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა 10 აგვისტოსათვის მოხნეს 6.522.340 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები — სახელმწიფო გეგმის 103,7 პროცენტი.

გაზეთებზე მოხნული მილიონ ნახევარი ჰექტარი ახალი მიწები — დაეღებაზე ერთიორად მეტი — დათესილია ხორბლითა და ფეტვით. ამრიგად, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მარცვლეულის მოსავლის ასაღები ფართობი 1953 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა.

1955 წელს დასათესად მომზადებულ ორ მილიონ ჰექტარზე მეტ მიწებზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს ეკლესები — მინდორში თოვლის დაგროვებისა და მოსავლიანობის გადიდების საიმედო საშუალება.

ახალი მიწების ათვისების რაიონებისათვის დიდ პერსპექტივებს ქმნის ნიადაგის დამუშავების სისტემა, რომელიც შეიმუშავა კურგანელმა ნოვატორმა ტ. ს. მალცევმა. ახლა სწავლობენ ყაზახეთის სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში ამხ. მალცევის გამოცდილების გამოყენების პრაქტიკულ გზებსა და მასშტაბებს.

აღვკვეთოთ ნაკლოვანებანი, მოვამზადებთ [illegible] შევხვდეთ ახალ სასწავლო [illegible]

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს რაიონებში მოაწყო რვიდი სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე. როგორც რვიდის მასალებიდან ჩანს, მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მოახლოვდა პირველი სექტემბერი, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობა და სახალხო განათლების მუშაკები შეუწყნარებელ უდარდელობას და უპასუხისმგებლობას იჩენენ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი. ქვემოთ ვაქვეყნებთ რვიდის მასალებს.

გადამწყვეტი დღეები

(აჭარის ასს რესპუბლიკაში)

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და განათლების მუშაკთა წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დააყენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღების შესახებ, რომელიც საბჭოთა სკოლაზე პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის სასარგებლოდ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს. ეს ამოცანები კარგად აქვთ შეგნებული აჭარის ასსრ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სკოლის მუშაკებს და მტკიცედ იბრძვიან ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განუხრელად განხორციელებისათვის.

წელს აჭარის ასსრ მოწინავე კოლმეურნეობათა ინიციატივით და კოლმეურნეთა აქტიური შრომითი მონაწილეობით 16 ახალ სასკოლო შენობას აგებენ. მოეწყო რამდენიმე სკოლის რეკონსტრუქცია და გაფართოება, კაპიტალურად შეკეთებულია 35 სკოლა, ხოლო მიმდინარე რემონტი გაუკეთდა მრავალ სასკოლო შენობას. დამზადებულია დიდძალი მერხები, მაგიდები და სხვა სასკოლო ინვენტარი.

მიუხედავად ამისა, აჭარის ასსრ განათლების ორგანოებს და სკოლის მუშაკებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

ჭიანურდება ახალი სკოლების მშენებლობა ქალაქ ბათუმში, ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილებში, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში, ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში. ეს მდგომარეობა გამოწვეულია ტრესტ „ბათუმმშენის“ (მმართველი ბ. ეგიაზაროვი) და აღნიშნული სოფლების კოლმეურნეობათა გამგეობების, სასოფლო საბჭოების უყურადღებობით. მათ დროზე არ მიიღეს სათანადო ზომები მშენებლობების მუშახელით, ტრანსპორტითა და სამენი მასალებით უზრუნველსაყოფად.

ბათუმის ძერჟინსკის სახ. III რუსულ საშუალო სკოლაში სასკოლო ინვენტარის დიდი ნაწილი ცუდად შეკეთეს. სკოლის ეზო დანაგვიანებულია. საკლასო ოთახების ნაკლებობის მიუხედავად, სკოლის 4 ოთახი კერძო პირებს უკავიათ.

ლენინის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში ახლახან შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. ასათვისებელია 40 ათას მანეთზე მეტი. აქ 8 აგვისტოსათვის 283 მერხიდან შეკეთებული იყო მხოლოდ 150. სკოლის შეფი ტრესტ „ბათუმმშენი“ უსულგულოდ ეკიდება აღნიშნული სკოლის რემონტს.

ჩამორჩენა ახალი სასკოლო ინვენტარის დამზადების ტემპიც. 9 აგვისტოსათვის აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ სახელოსნოებს 500 მერხის ნაცვლად მზად ჰქონდათ მხოლოდ 220 მერხი.

ჭიანურდება სკოლებისათვის შუშის დამზადება. ამ საქმეში უმოქმედობას იჩენს ხულოს სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ზ. შავაძე). სკოლებისათვის შუშის დამზადებაში განსაკუთრებით ჩამორჩენა ქობულეთის რაიონი, სადაც 3.500 კუბმეტრიდან დამზადებულია მხოლოდ 1.500 კუბმეტრი შუშა.

მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით მომარაგების დარგში აჭარის ასს რესპუბლიკაში ყველაფერი რიგზე არ არის. მცირე რაოდენობით არის შემოზიდული უფროსი კლასების სახელმძღვანელოები და რვეულები.

გაზეთ „კომუნისტის“ და „საბჭოთა აჭარის“ რედაქციების რვიდის მონაწილენი: დ. პაიჭაძე, ნ. უთურაშვილი, გ. ლოლთქიფანიძე, თ. ხომერიკი.

უდარდელობის ტყვეობაში

(სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)

სამხრეთ ოსეთის სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება თვითდინებაზეა მიტოვებული. განათლების საოლქო განყოფილება იმის ნაცვლად, რომ ოპერატიულად ხელმძღვანელობდეს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, კმაყოფილდება იმით, რომ ადგილებიდან იღებს ინფორმაციებს. დღემდე ოლქის განათლების განყოფილებაში არ მოიპოვება მასალები, თუ რამდენ სკოლას გაუკეთდა რემონტი. განათლების საოლქო განყოფილება კონკრეტულად არ იცნობს ადგილებზე შექმნილ ვითარებას, იქ თვითკმაყოფილების განწყობილებაა გამეფებული. მუშაობის ასეთი სტილი ოლქის განათლების განყოფილებიდან რაიონულ განყოფილებებში გადადის, ხოლო იქედან — სკოლებში.

ოლქის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ნ. მედოევა ამჟამად შვებულებაშია. საოლქო განათლების განყოფილების შენობის დერეფნები სავსეა ხალხით — დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მასწავლებლები იცდიან. ყველა ელავს... არ იციან, ვინ სად იმუშავებს მომავალი სასწავლო წლიდან, ბრძანებას ელოდებიან. ...წელს 120 ახალი მასწავლებელი უნდა იქნას დანიშნული სკოლებში. ამას გარდა, 60-ზე მეტი მასწავლებელი ელოდება ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორების დაკომპლექტების საქმეში. მთელ რიგ საშუალო სკოლებში სასკოლო შენობათა რემონტი, იმის გამო, რომ იქ დირექტორები არ იმყოფებიან, შეუწყნარებლად ჭიანურდება, ხოლო ზოგან ეს საქმე ჯერაც არ დაწყებულა. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ზნაურის რაიონის სოფელ ძვილეთისა და ერედვის საშუალო სკოლებში.

ზნაურის რაიონის თორმანეულის რვაწლიანი სკოლის შენობას გადაუდებელი რემონტი ესაჭიროება. არავინ არის პასუხისმგებელი პირი, რომ შენობას რემონტი გაუკეთოს. უარესი მდგომარეობაა რემონტის მხრივ ჯავის რაიონის შორეულ სოფლებში. ერმანის, ბრიტათის, ჩელიათის და ვანელის სკოლებში რემონტი ჯერ სანახევროდაც არ არის შესრულებული. სტალინირის რაიონის ქსუთისის საშუალო სკოლის მერხები დამტვრეულია, საკლასო ოთახებს მინები არა აქვს. აქ მხოლოდ კედლები შეათეთრეს. უხარისხოდ მიმდინარეობს რემონტი ვანათის საშუალო სკოლაშიც. აქ საკლასო ოთახებს გაუკეთეს რემონტი, მაგრამ სახურავს შეკეთება ესაჭიროება, წვიმის დროს წყალი ჩამოდის. ზნაურის რაიონის წნელისის დაწყებითი სკოლის გამგემ ა. ბეკოევმა დაუკითხავად მიატოვა სამუშაო და თავის პირად საქმეებზე წავიდა, სკოლა უპატრონოდ არის მიტოვებული, რემონტი დაწყებული არ არის, შენობის სახურავი დაზიანებულია; მოუმარაგებელია საპობი. საერთოდ ზნაურის რაიონის არც ერთ დაწყებით სკოლას საპობი მომარაგებული არა აქვს.

სკოლების რემონტს აფერხებს აგრეთვე საშენი მასალების უქონლობა. ოსეთის ავტონომიურ ოლქში სკოლების რემონტისათვის დღემდე არ მიუღიათ შიფერი და ხის მასალა.

სასწავლო წლისათვის მზადებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა დროზე უზრუნველყოფას საზელმძღვანელოებით. 30 ივლისამდე სამხრეთ ოსეთში გეგმით უნდა შემოზიდულიყო 196.753 ეგზემპლარი საზელმძღვანელო. ამ რიცხვისათვის „საქწიგნის“ სამხრეთ ოსეთის ბაზას მიღებული ჰქონდა მხოლოდ 105.838 ცალი სახელმძღვანელო. დღემდე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობას არ გამოუცია ოსური ლიტერატურის ქრესტომათიები მეექვსე, მერვე და მეთერთმეტე კლასებისათვის.

სამხრეთ ოსეთის სკოლებში რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. გაუგებარია ერთი რამ: როგორ მოხდა, რომ ოლქის განათლების განყოფილებაში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას გვერდი აუარა პარტიის საოლქო კომიტეტმა და მისმა სასკოლო განყოფილებამ? რით ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. გ. ივანიძე, რომელიც ყოველდღე ხედავს რა ხდება განათლების განყოფილების დერეფანში, საჭირო ზომებს არ იღებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ოლქის განათლების განყოფილებას კონკრეტულ დახმარებასა და კონტროლს არ უწევს საოლქო სბჭოს აღმასკომიც.

„კომუნისტის“ და „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციების ბრიგადა: ი. თედიაშვილი, ო. ესიავშვილი, ნ. ელიოზიშვილი, ა. ბინიაშვილი.

დრო დაყოვნებას ვერ ითმენს

(ზუგდიდისა და მაიაკოვსკის რაიონებში)

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მომზადებულან ზუგდიდის რაიონისა ჯუმის 8-წლიანი, ჭითაწყაროს, ქ. ზუგდიდის პირველი და მეორე საშუალო სკოლები. აქ დამთავრებულია სარემონტო სამუშაოები, შეძენილია საჭირო საასკოლო ინვენტარი, ადგილზე მიზიდულია სათბობი.

მაგრამ ზუგდიდის რაიონის ყველა სკოლაში როდია ასეთი მდგომარეობა. აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის ზუგდიდის რაიონის სკოლების კაპიტალური რემონტი — [illegible] 405.000 მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 135.000 მანეთი. გეგმით უნდა შეეძინათ 450 ახალი მერხი, 151 მაგიდა, 452 სკამი, 77 კარადა, 90 დაფა, მაგრამ ჯერჯერობით შეძენილია მხოლოდ 150 მერხი, 25 მაგიდა, 229 სკამი, 22 დაფა, ხოლო კარადები სულ არ შეუძენიათ.

ზუგდიდის რაიონის რიყის საშუალო სკოლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 25.400 მანეთი ხელუხლებელია. ამავე რაიონის ახალი კახათის 8-წლიანი სკოლა მოთავსებულია ერთსართულიან პატარა შენობაში, რომელსაც ჯერ კიდევ შარშან ესაჭიროებოდა რემონტი. წელს კაპიტალური რემონტისათვის 33.000 მანეთი გამოყვეს, მაგრამ დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.

რაიონის მეტ წილ სკოლებში ცუდად არის სათბობის მომარაგებისა და ადგილებზე მიზიდვის საქმე. რაიონის სკოლებისათვის დამზადებული შეშის გადმოსატანად საჭიროა დღეში საშუალოდ 5 ავტომანქანა. „სოიუზტრანსს“ კი ამ მიზნისათვის მხოლოდ ერთი მანქანა გამოუყვია. ამრიგად, სათბობის მიზიდვა ძლიერ ჭიანურდება.

* * *

კარგად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის მაიაკოვსკის სოფელ დიმის საშუალო სკოლაში. ასევე წარმატებით მიმდინარეობს მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ყანჩაველი) შენობის სარემონტო სამუშაოები. დამაკმაყოფილებელია ფერსათის რვაწლიან და საშუალო სკოლებში რემონტის მიმდინარეობა. მოუმზადებელი ხვდება ახალ სასწავლო წელს საკრეულის საშუალო სკოლა. არავითარი სარემონტო სამუშაოები დღემდე არ დაწყებულა პატარა როხის დაწყებითს სკოლაში (გამგე ნ. ლახუნდარიძე).

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ მაისში განიხილა სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. შემდეგ ივლისში ბიუროს სპეციალური განხილვის საგანი გახდა წითელხევის საშუალო სკოლის მშენებლობა. ივნისში მოეწყო რაიონის სკოლის დირექტორების, სოფლის საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თათბირი, რომელიც მიეძღვნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. პარტიის ზუგდიდის რაიკომსაც გატარებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. მაგრამ არ ქმარა მარტო საკითხის განხილვა, თათბირების მოწვევა, კარგი დადგენილების მიღება. საჭიროა სისტემატურად შემოწმდეს მიღებულ დადგენილებათა შესრულება, კონკრეტული, საქმიანი დახმარება გაეწიოს რაიონის სკოლებს, რათა ისინი ახალ სასწავლო წელს სრულიად მომზადებული შეხვდნენ.

რვიდის მონაწილენი: გ. ნოდია, დ. გველესიანი, ნ. ტაბიძე.

გავაძლიეროთ მზადების ტემპი

(ახმეტის რაიონში)

ახმეტის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. პეტრიაშვილი) თვენახევრის წინათ დამთავრდა რემონტი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზად არიან აგრეთვე ქვემო ალვანის, აწყურისა და ზემო ალვანის საშუალო, ახმეტისა და არაშენდის 8-წლიანი სკოლები.

მიუხედავად ამისა, ახმეტის რაიონში სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ხარვეზებია. ამ ოცი დღის წინათ მატნის საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტი ახმეტის კომუნალური განყოფილების სარემონტო კანტორას დაავალეს. კანტორამ მხოლოდ ორი კედელი ამოიყვანა (ისიც უხეიროდ) და მუშაობა შეაჩერა.

წელს წინუბანში რვაწლიანი სკოლა გაიხსნა. ამ სკოლის შენობას ორი ოთახი უნდა მიემატოს. კედლები ამოყვანილია, ყველა მასალა მზად არის, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ქელეხსაევმა დღემდე ხელოსნები ვერ „გამოძებნა“. სკოლის გამგეს თ. ჭიჭიაშვილს ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ არსებული სამი საკლასო ოთახი მარნეულ შეათეთროს. იგი თავის სოფელში მატანში ისვენებს.

საკობიანოს დაწყებითი სკოლა კერძო ბინაშია მოთავსებული. ორ

ფართოდ დავნერგოთ საკოლმეურნეო წარმოებაში გამოფენაზე მიღებული გამოცდილება!

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ფართოდ ასახავს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდასა და მიღწევებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების წარმატებებს. იგი წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების საყოველთაო-სახალხო სკოლას.

იწყება ფრიად პასუხსაგებ სამუშაოთა პერიოდი. მოსკოვიდან თავიანთ რაიონებში დაბრუნების შემდეგ ექსკურსანტები შეხვდებიან კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებმაც ისინი გაგზავნეს, მოუთხრობენ მათ იმ ძვირფასი გამოცდილების შესახებ, რაც შეიძინეს მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად მოვაწყოთ გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა შეხვედრები, ფართოდ დავნერგოთ ყოველივე ის ახალი, მოწინავე, პროგრესული, რაც საკოლმეურნეო სოფლის წარმომადგენლებმა ნახეს და შეისწავლეს გამოფენაზე. მიზანშეწონილია ასეთი შეხვედრების დროს დაისახოს გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი.



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი, სოციალისტური შრომის გმირები ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): უფროსი აგრონომი შ. გრძელიძე, ბრიგადირი კ. სობოლევი, ჩაის მკრეფავი მ. სტაიკინა და მეორე აგროგანყოფილების უფროსი ა. იმნაიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

◁ ★ ▷

ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დავყავი 30 ივლისიდან 5 აგვისტომდე. როგორც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, დაეესწარი საბჭოთა საქართველოს პავილიონის გახსნას. დიდი ინტერესით გავეცანით მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, უზბეკეთის, უკრაინის, ყაზახეთის პავილიონებს, აგრეთვე მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგის ექსპონატებს.

მოსკოვში ჩვენ მივიღეთ უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შევიძინეთ ახალი ცოდნა, დიდი გამოცდილება. აქ ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ ადგილებზე შეგვიძლია გავაუმჯობესოთ მექანიზაციის საქმე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში, მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ მას. უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ჩაის სასხლავ მანქანას იმ ადგილებში, სადაც კი ეს შესაძლებელია.

ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ მებოსტნეობის დარგში. კვლავ დავრწმუნდით, რომ წიადაგის სათანადო დამუშავების, მისი გაპოხიერების, ნათესების გაწმენდის, დროული და რაციონალური რწყვის საფუძველზე, ერთი სიტყვით, კარგი მოვლის შედეგად — შეიძლება ბოსტნეულის უფრო მეტი მოსავლის მიღება, ვიდრე ახლა ვიღებთ. იგივე გვასწავლა გამოფენამ მეხილეობის დარგშიც. მე მოვალე ვარ გადავცე ჩემს ამხანაგებს, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობენ, გამოფენაზე შეძენილი გამოცდილება.

საამაყოა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეცხოველეების მიერ მიღწეული წარმატებანი. სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. გამოფენაზე შეძენილი გამოცდილება გვასწავლის, რომ პირუტყვის წესიერ კვებას, სათანადო მოვლას, კერძოდ მას სუფთად შენახვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში.

მსურს მთელი ძალღონე, მთელი ცოდნა მოვანმარო იმას, რომ ის მრავალი სიახლე, რაც სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ვნახე, გადმოვიტანო ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში.

პირობას ვდებ ამიერიდან ვიმუშაო უფრო კარგად, კერძოდ იმისათვის, რომ გავადიდოთ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა, უკეთ დავაკმაყოფილოთ სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება ჩაიზე.

1948 წელს ჩვენ 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე სამეურნეოდ ავიღეთ 3.828 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1953 წელს ეს ციფრი 5.600 კილოგრამამდე ავიყვანეთ. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეს ციფრიც ზღვარი არ არის. ჩვენ შეგვიძლია უკეთ მუშაობა და ვიმუშავებთ კიდეც, მივცემთ ჩვენს ქვეყანას მეტ ჩაის, ვიმუშავებთ ისე, რომ დავიმსახუროთ 1955 წლის გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლება.

ვ. ნაცვალაძე,
სოციალისტური შრომის გმირი, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 14 ბრიგადის ხელმძღვანელი.

ნოვაგოროთა მაგალითისამებრ

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რომ მგზავნიდნენ, კოლმეურნეებმა დამავალეს კარგად შემესწავლა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეცხოველეთა მდიდარი გამოცდილება, რომ შემდეგ იგი წარმატებით გამოვიყენოთ.

გულდასმით შევისწავლე მეცხოველეობის პავილიონი. ეს მთელი ქალაქია, რომელიც 64 შენობისაგან შედგება. აქ ჰყავთ 720 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 845 ცხვარი, 320 ღორი, 150 ცხენი, 10 ათასი ფრინველი. ვნახე პირუტყვის მექანიზებული ფერმები, შესანიშნავად მოწყობილი საფრინველეები, საღორეები, კომბინირებული საკვების შესამზადებელი ქარხანა, სანიმუშო ზოოვეტუბანი და მრავალი სხვა.

არასოდეს არ დამავიწყდება ის, რაც კოსტრომის ოლქის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XII წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ვნახე. შენობაში სანიმუშო სისუფთავეა, საკვების შემზადება და ძროხების წველა ელექტრობით ხდება. შარშან ამ ფერმაში თვითეულ ძროხაზე 5 ათასზე მეტი ლიტრი რძე მიიღეს. გავიცანი სოციალისტური შრომის გმირები, ძროხების მწველავები ი. შიშკოვა, ე. კუზნეცოვა და სხვები, რომლებმაც მიმდინარე წლის 7 თვეში თვითეულ ძროხაზე უკვე სამ-სამი ათასი ლიტრი რძე მაიღეს. დიდხანს ვესაუბრე კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს ამხ. ა. ლიშჩენკოს. მასთან გულითად საუბარში ბევრი ძვირფასი ცოდნა შევიძინე.

კოსტრომელთა ფერმის ახლოს არის არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ ფერმა, ხოლმის ძროხები უფრო მეტი პროდუქტიულობით ხასიათდებიან.

გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას სიამოვნებით გავუზიარებ ჩემს ამხანაგებს და მას სრულად გამოვიყენებთ.

შ. ხოხაშვილი,
გორის რაიონის სოფელ ქიწნისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

ძვირფასი გამოცდილება

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სოციალისტური მინდვრების მუშაკთა წარმატების საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაა. იგი გვიჩვენებს საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას კოლმეურნეობათა აყვავებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

გამოფენაზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგია წარმოდგენილი. მე თვითონ მევენახე ვარ, და ძირითადად ამ კულტურაზე გავამახვილე ყურადღება. დიდი ინტერესით გავეცანი ყირიმის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ოდესის ოლქის მოწინავე მევენახეთა გამოცდილებას. იმდენი ცოდნა შევიძინე, რომ მისი გამოყენებით მეტ წარმატებას მივაღწევ მუშაობაში.

დიდი ხანია, რაც მევენახეობის რგოლს ვხელმძღვანელობ. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1949 წელს მომენაჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. პირობას ვიძლევი, რომ მიმდინარე წელს აგროწესების ზუსტად დაცვით და გამოფენაზე შეძენილი გამოცდილების გამოყენებით ჩვენი რგოლის ოთხნახევარი ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანო 115 ცენტნერი ყურძენი, ხოლო დანარჩენი 3 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 150 ცენტნერი.

ი. ხაჩიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარის კოლმეურნეობის მევენახეობის მერგოლური.



მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, დ. ტაკიძე (მარჯვნივ) თავის მუშაობის ხერხებზე უამბობს გამოფენის მონაწილეებს.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

მექანიზაციის ძალა

მღელვარებით და გამოუთქმელი სიხარულით გავიარე გამოფენის მთავარი თაღი. ეს წუთები არასოდეს არ დამავიწყდება. მე, როგორც ახალგაზრდა მექანიზატორმა, ბუნებრივია, საფუძვლიანად დავათვალიერე მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონი. ამ უზარმაზარ შენობაში ნახავთ, თუ რა პირველხარისხოვანი და მძლავრი ტექნიკით არის აღჭურვილი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა.

დიდხანს ვიდექი ზემძლავრი ტრაქტორის „ჩტზ-ს-80“ წინ. გულდასმით დავათვალიერე „დტ-54“, „კდ-35“, „კდპ-35“ მარკის ტრაქტორები. მინდოდა გამეგო, რა ცვლილებებია შეტანილი მათს კონსტრუქციაში.

მოსავლის ასაღები მანქანებიდან დავათვალიერე ახალი კომბაინი „სტალინეც-8“, რომელიც „სტალინეც-6-თან“ შედარებით მაღალი წარმადობისაა, შეცვლილი აქვს ზოგიერთი კვანძი, რითაც გაუმჯობესებულია მისი საექსპლოატაციო თვისებები.

დიდი ინტერესი გამოიწვია შაქრის ჭარხლის კომბაინმა. მას შეუძლია ერთდროულად სამი მწკრივის აღება, გასუფთავება, ფოჩის წაჭრა და ჭარხლისა და ფოჩის დაგროვება ცალცალკე ბუნკერებში. ასეთი კომბაინი ჩვენს მტს-ს მალე ექნება და მისი ათვისება მრავალ კოლმეურნეს მძიმე შრომისაგან გაათავისუფლებს.

რა მარკისა და დანიშნულების მანქანას არ ნახავთ პავილიონში. განსაკუთრებით მომეწონა ახალი მარკის ავტომანქანები „გაზ-69“ და „გაზ-69-ა“. ისინი დიდ გამოყენებას პოვებენ საკოლმეურნეო სოფელში. საინტერესოა აგრეთვე ელექტროძრავები, ახალი გუთნები და სხვა იარაღ-მანქანები.

პირობას ვიძლევი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას ვუპასუხო საუკეთესო მუშაობით საკოლმეურნეო წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ სახალხო ლაშქრობაში.

ი. განჯელაშვილი,
ინჟინერ-მექანიკოსი, ტყვავის მტს-ის სახელსნოს გამგე.

სახალხო უნივერსიტეტი

დიდი ბედნიერება მხვდა წილად, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე რომ გავხდი. 1 აგვისტოს ჩვენი რაიონის სხვა მუშაკებთან ერთად დავესწარი გამოფენის გახსნასადმი მიძღვნილ მიტინგს. შემდეგ, როცა პავილიონები და უამრავი ექსპონატები დავათვალიერე, ისეთი სიხარული განვიცადე, რომ ეს დღე არასოდეს არ დამავიწყდება.

გამოფენა ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტია. ყოველ ადამიანს შეუძლია აქ მიიღოს სასარგებლო ცოდნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ეს ცოდნა და გამოცდილება შეძენილია კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეცნიერების შემოქმედებითი შრომის შედეგად.

უკრაინის პავილიონში ჩვენი ყურადღება მიიპყრო დნეპროპეტროვსკის ოლქის ლიხოვკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ მერგოლურის მ. ოზიორნის წარმატების ამსახველმა ექსპონატებმა. სოციალისტური შრომის გმირს მ. ოზიორნის გამოუყვანია სიმინდის ისეთი ახალი ჯიში, რომელიც ჰექტარზე ორასზე მეტ ცენტნერ მოსავალს იძლევა. ვნახეთ ამ სიმინდის ტაროები. თვითეულის წონა 450 გრამს აღწევს, სიმინდი სიმაღლით თურმე 270-340 სანტიმეტრამდე იზრდება.

კოლმეურნეებს გავაცნობ, თუ რა ვნახე გამოფენაზე, და მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში გამოვიყენებ.

ა. მიქელაიშვილი,
მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ქობულეთის რაიონი. ჩაქერს ჩაის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ჩაის მკრეფავი ტატიანა ცინცაძე კრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი

მეორედ ვარ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. პირველად ეს იყო 1940 წელს. მას შემდეგ 14 წელმა განვლო. როგორ გამოიცვალა ჩვენი ქვეყანა ამ წლებში, როგორ გამდიდრდა, როგორ დაკაჟდა! გამოფენის ურიცხვ ექსპონატებში, როგორც სარკეში, ასახულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ზრდა, რაც 1940 წლის შემდეგ მოხდა.

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი კოლმეურნეობაც. საკმარისია ითქვას, რომ შარშან მარტო იმ ბრიგადის ფულადმა შემოსავალმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 1.277.000 მანეთი შეადგინა.

მოსკოვში ყოფნისას მოჯადოებულივით დავდიოდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. საუცხოოა საბჭოთა საქართველოს პავილიონის ორანჟერია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმან, რაც ვნახე გამოფენაზე მეცხოველეობის დარგში.

მე გავეცანი მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეთა წარმატებებს, კერძოდ, მწვანილავ ალექსანდრა ვორონოვას წარმატებებს, რომელმაც მასზე მიმაგრებული 10 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 5.289 კილოგრამი რძე. მისი 18 წლის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მაჩვენებლების მიღწევა შესაძლებელია ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც. საჭიროა მხოლოდ მერძეული პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება, მისი კვების სწორად დაყენება, მეცხოველეობაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენება.

ინტერესით შევიტყე, რომ საუკეთესო მეცხოველე ნოვატორები ძროხებისათვის აწესებენ კვების სპეციალურ ნორმებს იმ სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, აჭმევენ მათ საკვებ ჭარხალს და სხვ.

კოლმეურნეობაში დაბრუნებისას ვეცდები მივაღწიო იმას, რომ ჩვენშიც დაიწყონ საკვები ჭარხლის თესვა. შევქმნით სპეციალურ საკვებ ბაზას, შევიძენთ ძროხებს ჩვენს ფერმაში ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ გამოვიყენებთ მექანიზაციას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გაცნობა ჩემთვის გადაიქცა დიდ სკოლად, ძლიერ სტიმულად ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ჩემს ამხანაგებს გავუზიარებ გამოფენაზე შეძენილ გამოცდილებას, დავეხმარები მათ. მეც ახლა უკეთ ვიმუშავებ, რათა ჩვენს საყვარელ სამშობლოს მივცეთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

თ. ყუფუნია,
ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

გამოფენის მნახველთა შთაბეჭდილებანი საქართველოს პავილიონის შესახებ

მე, ძველმა ბოლშევიკმა, ვინახულე საქართველოს სსრ პავილიონი. შესანიშნავად არის იგი გაფორმებული, განსაკუთრებით მეხილეობა-მევენახეობის განყოფილება. აქ ჩანს, რომ მშრომელმა კოლმეურნეებმა სიყვარულით მოიყვანეს შესანიშნავი ხილი. საქართველოს ხელმძღვანელებო და კოლმეურნეებო! გმადლობთ ყოველივე იმ საუცხოოსათვის, რაც პავილიონში ვნახე.

პენსიონერი **ა. ნიკიტინა.**

* * *

დიდია საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები. პავილიონის დათვალიერების დროს გაოცებს ამ რესპუბლიკის სიმდიდრე. ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს ქართველ ხალხს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და ჩვენი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ა. ზანოზინი.

* * *

მეტად კმაყოფილი დავრჩით თქვენი პავილიონის ნახვით. საბჭოთა საქართველოს სიმდიდრე დღითიდღე მატულობს. გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ შრომაში.

სურკოვი და **არუთინიანი.**

* * *

განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი პავილიონში ჩაი და ციტრუსები. ვუსურვებთ საქართველოს მუშაკებს შემდეგშიც უხვად მოიყვანონ ისინი.

მიშინი,
მოსკოვის ოლქის კრასნაია პოლიანას რაიონის წარმომადგენელი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

დიდი კმაყოფილებით დავათვალიერე საქართველოს პავილიონი. რა სილამაზეა! ოგრძნობა, რომ მის გაფორმებას დიდი ყურადღება დაეთმო. ყველაფერი მომწონს: სურათები, პლაკატები. მე კიდევ ბევრჯერ მოვალ ამ პავილიონში, რომ უფრო დაწვრილებით დავათვალიერო იგი. საუცხოო შთაბეჭდილება დამრჩა.

მთავარი ბუხჰალტერი **კრილოვი.**
მოსკოვი.

რა შეედრება საქართველოს სსრ უდიდეს სიმდიდრეს? რა წარმტაცია საქართველო — ეს ჩანს საქართველოს სსრ პავილიონში წარმოდგენილი ყველა ექსპონატით.

დიდ სამამულო ომში მიღებული ჭრილობის შემდეგ მე დიდხანს ვმკურნალობდი ამ საუცხოო რესპუბლიკაში.

მადლობას ვუძღვნი საქართველოს სსრ პავილიონის მომწყობთ და საქართველოს კოლმეურნეებს სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ვ. ლოკიევი,
ვილნიუსი, ლიტვის სსრ.

* * *

საქართველოს პავილიონისა და მისი ორანჟერიის ნახვისას აღტაცებით ვუცქერდი საქართველოს სილამაზეს და მის ადამიანთა შრომის შედეგებს. შემდეგშიც ვუსურვებ მათ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნიკიტინა,
მთავარი ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი.

სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატებათა დადასტურება

პრაღა, 11 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხელმძღვანელის — ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ინდრიხ უგგერის სტატია, რომელშიც იგი მკითხველებს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს მოსკოვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ.

ჩემზე, წერს უგგერი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პავილიონმა, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურმა მიწათმოქმედებამ კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში. მექანიზაციის პავილიონში მკაფიოდ ასახულია საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუდმივი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მაქსიმალურად აღჭურვისათვის.

მოსკოვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ხაზგასმით აღნიშნავს უგგერი, ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და კოლმეურნეობათა მდიდარი გამოცდილების საფუძველზე მივაღწიოთ დიდ პროდუქტიულობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში.

ჩეხოსლოვაკიის ენერგეტიკული მრეწველობის წარმატება

პრაღა, 9 აგვისტო. (საკდესი). პრაღაში დამთავრდა ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შიროკიმ და ჩეხოსლოვაკიის სხვა მოღვაწეებმა.

თათბირზე იხილავდნენ ენერგეტიკული ბაზის მდგომარეობას და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დირექტივების შესაბამისად დასახულ იქნა ჩეხოსლოვაკიის ენერგეტიკული მრეწველობის შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები.

თათბირზე აღნიშნავდნენ, რომ ელექტროენერგიის რაოდენობის მხრივ, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის, ჩეხოსლოვაკიამ უკვე გაუსწრო საფრანგეთსა და იტალიას. 1937 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 284 კილოვატსაათი, ხოლო 1953 წელს — 965 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში შენდება ბევრი ახალი ელექტროსადგური. მთავრდება დასავლეთ ევროპაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ვლტავაზე (სლაპის მახლობლად). აღნიშნული სადგური ენერგიას მიაწვდის ჩრდილო-დასავლეთ ჩეხიის ბევრ სამრეწველო საწარმოსა და ქალაქს.

ხელშეკრულება საბერძნეთსა, თურქეთსა და იუგოსლავიას შორის

ბელგრადი, 10 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბლედში (იუგოსლავია) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბერძნეთსა, თურქეთსა და იუგოსლავიას შორის კავშირის, პოლიტიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ხელშეკრულებას, რომლის მოქმედების ვადა ნავარაუდევია 20 წლისათვის, საბერძნეთის მხრივ ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფანოპულოსმა, თურქეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრმა კეფრულუმ და იუგოსლავიის მხრივ — საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა პოპოვიჩმა.

ხელშეკრულებაში, რომელიც 14 მუხლს შეიცავს, გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ურთიერთდახმარების აღმოჩენის ვალდებულებანი და პირობები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, კერძოდ, „მისი ქმედითი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით“ „მუდმივი საბჭოს შექმნა საგარეო საქმეთა მინისტრების ან ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მთავრობების სხვა ისეთი წევრების შემადგენლობით, რომელთა დასწრება შეიძლება მიჩნეულ იქნას საჭიროდ ვითარების მოთხოვნებისა და განსაზღვველი საკითხების ხასიათის შესაბამისად“, აგრეთვე აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა გენერალურმა შტაბებმა უნდა განიხილონ ერთობლივი მუშაობა, რომელიც დაიწყო უკვე წინათ დადებული ანკარის შეთანხმების დებულებათა შესაბამისად.

ხელშეკრულების დადების გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სამხედრო წარმომადგენლები, რომლებიც კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, შეთანხმდნენ ახლო მომავალში გენერალური შტაბების უფროსთა თათბირის მოწყობის საკითხზე.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების დღევანდელ სხდომაზე მოხდა კენჭისყრა ნდობის საკითხზე, რომელიც მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა დასვა მის მოთხოვნასთან დაკავშირებით საფინანსო-ეკონომიური პროგრამის დამტკიცებისა და მის განსახორციელებლად მთავრობისათვის „განსაკუთრებულ რწმუნებათა“ მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის წინ მოკლე სიტყვა წარმოთქვა მენდეს-ფრანსმა, რომელსაც ახალი არა შეუტანია რა წარმოდგენილი პროექტის დახასიათებაში. შემდეგ გამოვიდნენ საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც ახრი გამოთქვეს კენჭისყრის მოტივებზე.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 361 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 90 დეპუტატმა. კომუნისტების საპარლამენტო ჯგუფმ კენჭისყრისას თავი შეიკავა.

ეროვნული კრების საღამოს სხდომაზე მეორე წაკითხვით განიხილავენ კანონპროექტს კონსტიტუციის რეფორმის შესახებ.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატების არჩევნები

პეკინი, 11 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

1-8 აგვისტოს მიმდინარეობდა სიჩუანის პროვინციის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 650 დეპუტატმა. სესიამ განიხილა და მოიწონა სიჩუანის პროვინციის სახალხო მთავრობის მოხსენება უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისი მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ შარშან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება სიჩუანში — ჩინეთის მარცვლეულის უდიდეს რაიონში — 8,6 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით, ხოლო წელს, წინასწარი გამოანგარიშებით, შარშანდელთან შედარებით გადიდდება 6 პროცენტით. თვითეული ასი გლეხური მეურნეობიდან 72 მეურნეობა ამჟამად შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფების ანუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრია.

სესიამ აირჩია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების 87 დეპუტატი. არჩეულთა შორის არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუ დე, გო მო-ჟო, თვალსაჩინო მწერლები, ინჟინრები, მასწავლებლები, ხელმძღვანელი მუშაკები ეროვნულ უმცირესობათაგან და წარმოების მოწინავე მუშები.

1-7 აგვისტოს მიმდინარეობდა აგრეთვე ხენანის პროვინციის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია. მას მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 535 დეპუტატმა. სესიამ აირჩია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების 56 დეპუტატი.

„საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის“

ჩინური პრესა საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

პეკინი, 10 აგვისტო. (საკდესი). ეხება რა საბჭოთა მთავრობის განცხადებას დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, რომელიც შეიცავს წინადადებას აგვისტოში ან სექტემბერში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე თათბირის მოსამზადებლად, გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ დღეს მოწონავე სტატიაში წერს:

საბჭოთა მთავრობის წინადადებამ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ მთელ მსოფლიოში მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. მსოფლიო საზოგადოებრიობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადება გვიჩვენებს ევროპაში მშვიდობის განმტკიცების რეალურ გზას და აყენებს გერმანიის საკითხის უსწრაფესად გადაჭრის მისაღებ მეთოდს.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირმა იმ დაბრკოლებათა გამო, რომლებსაც შეერთებული შტატები ქმნიან, ვერ მიაღწია შეთანხმებას გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში სპობს დაბრკოლებებს გერმანიის საკითხის გადაჭრის გზაზე და ხელს უწყობს გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი იცავს მშვიდობას და გერმანელი ხალხს ეროვნულ ინტერესებს, ამერიკის მმართველი წრეები გაფიცვებით აკოწიწებენ მათ მიერ განზრახულ ეგრეთწოდებულ „ევროპის თავდაცვით გაერთიანებას“, რათა მუდმივი გახადონ გერმანიის გათიშვა და ახალი ომი გააჩაღონ ევროპაში.

მშვიდობისმოყვარე ხალხები ამ ოლითმენენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ცდებს დაკანონონ საბჭოთა წინადადების მნიშვნელობა. მსოფლიოს ხალხები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ საერთაშორისო მოლაპარაკების გზას შეუძლია მოგვცეს დადებითი შედეგები. სწორედ ამიტომ ისინი ენერგიულად უჭერენ მხარს საბჭოთა წინადადებას, რომელიც შეიფერება ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

გაზეთი „დაგუნბაო“ სტატიაში „სსრ კავშირის ახალი წვლილი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფაში“ წერს: საბჭოთა მთავრობის განცხადება იძლევა გერმანიის საკითხის გადაჭრის ახალ იმედს და ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ იგი ერთსულოვნად მოიწონა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა. ყენევის კონფერენციამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია საერთაშორისო პრობლემები გადაიჭრას დაინტერესებული ქვეყნების მოლაპარაკების გზით. ყენევაში მიღწეულმა შეთანხმებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვა საერთაშორისო პრობლემების — მათ შორის აგრეთვე ევროპის პრობლემების გადასაჭრელად. ჩინელი ხალხი მუდამ ესწრაფვოდა და ესწრაფვის მშვიდობას. იგი გულწრფელად იმედოვნებს, რომ მალე მოწვეულ იქნება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელსაც მოჰყვება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის მიზნით.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ

საფრანგეთის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა — ჰიტლერელ ოკუპანტთაგან საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეთა — ჯგუფმა გამოაქვეყნა მიმართვა წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებისადმი. მიმართვა შეიცავს მოწოდებას იბრძოლონ ევროპის არმიის წინააღმდეგ.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნა, — ნათქვამია მიმართვაში, ჩვენს სუვერენიტეტზე, ჩვენი ეკონომიური განვითარების შესაძლებლობებზე, დემოკრატიასა და თავისუფლებებზე უარის თქმის მომსწავებელი იქნებოდა. ევროპის თავდაცვითი გაერთიანება გამოიწვევდა საფრანგეთის არმიის დანაწილებას, ხოლო შემდეგ ომს...

ჩვენ არა გვსურს გერმანიის შეიარაღება. ჩვენ მოვითხოვთ დაიღოს პაქტები ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ თვითეული ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მისი იმ უფლებისადმი პატივისცემის პირობებში, რომ თვითონ გადაჭრას თავისი ბედი. ეს პაქტები დასაბამს მისცემენ ყველა ქვეყნის შეიარაღების შემცირებას და შეიარაღებისადმი კონტროლს. ამხანაგებო წინააღმდეგობის საქმეში და პატრიოტებო, გაერთიანდით ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც უნდა იყოს თქვენი პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური რწმენა!“.

მიმართვას ხელს აწერენ: მწერალი ლუი არაგონი, ყოფილი მინისტრი პოლ ბასტიდი, დეპუტატი ანდრე ფ�ენ, კათოლიკური ჟურნალის „ესპრის“ მთავარი რედაქტორი დომენაკი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიუკლო, შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი, დეპუტატი ლებონი, ადმირალი მულეკი, გენერალი მალრე-ჟუენვილი და სხვა გამოჩენილი ფრანგი მოღვაწეები.

დასავლეთ გერმანიაში ფართოვდება საგაფიცვო მოძრაობა

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). ჰამბურგში მეშვიდე დღეა გრძელდება საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკების გაფიცვა, რომელიც ხელფასის მომატებისათვის იბრძვიან. ტრამვაი, მეტრო, ავტობუსები და სხვა სახის ტრანსპორტი არ მუშაობს.

ქალაქის სენატი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩაფშოს გაფიცვა. დღეს სენატმა, რომელიც ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ, მიუხედავად გაფიცვისა, ტრანსპორტი მუშაობს, გადაწყვიტა გამოეყენებინა პოლიციის სასამსახურო ავტობუსები. ხელისუფალნი ცდილობენ აგრეთვე გამოიყენონ სხვა ქალაქების ტრანსპორტი.

ბავარიელი მრეწველნი ცდილობენ შეაკოწიწონ შტრეიკბრეხერთა ჯგუფები და მოაწყვიანონ წარმოება. მაგრამ გაფიცულ მელითონეთა პიკეტები გზას უღობავენ შტრეიკბრეხერებს. გაფიცულთა ერთიანობა, მათი მტკიცე გადწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ბევრ მრეწველს აიძულებს წავიდეს დათმობაზე. როგორც აღნ-ის საგენტო იუწყება, გაფიცვის პირველ დღეს, 9 აგვისტოს, ბავარიის 48 საწარმოს მფლობელებმა მიიღეს მუშების პირობები.

9 აგვისტოს ბავარიის რადიოთი სიტყვა წარმოთქვა ბავარიის მელითონეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ფრდრიხ ესელმა, რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირი განაგრძობს გაფიცვას სრულ გამარჯვებამდე. ესელმა თქვა, რომ გაფიცულ საწარმოებში გაფიცულია უკვლებლივ ყველა მუშა. გაფიცვა მოედო ამბერგს, ერლანგენს, კემპტენს, იმენშტადტს, რეგენსბურგს, შვაბახსა და ბავარიის სხვა ქალაქებს.

ბავარიელ მელითონეთა გაფიცვასთან დაკავშირებით კომუნისტური პარტიის ბავარიის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მოუწოდებს მოსახლეობას მხარი დაუჭიროს გაფიცულებს.

კომუნისტების დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი დენვერიდან იუწყება, ფედერალური დიდი ჟიურის სპეციალურმა სესიამ გადწყვიტა სმიტის კანონის საფუძველზე სასამართლო პასუხისგებაში მისცეს კომპარტიის დასავლეთის შტატების ორგანიზაციათა შვიდი ხელმძღვანელი. (ამ კანონით ამერიკის შეერთებულ შტატებში სდევნიან პროგრესულ მოღვაწეებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მმართველი წრეების პოლიტიკას. — **რედ.**).

ბრალდება წაუყენეს არტურ ბერის, ანა ბერის, ჰაროლდ ზეპელინს, ლუის ჯონსონს, შერერს, მაია შერერსა და პატრიცია ბლაუს.

იაპონიის მილიტარიზაცია

შანხაი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო გადმოგვცემს, 9 აგვისტოს იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსმა კიზურამ, უპასუხა რა შეკითხვებზე მრჩეველთა პალატაში, განაცხადა, რომ ეროვნული თავდაცვის სამმართველო გეგმავს მომავალ წელს სახმელეთო ჯარები გაადიდოს 200 ათასამდე, სამხედრო-საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა — 8.600 კაცამდე, სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა — 6 ათას კაცამდე. ამასთან ერთად მან აღიარა, რომ შეიარაღებული ძალების გადიდება მთელ რიგ ფინანსურ სიძნელეებს აწყდება.

კიზურამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა შეერთებულ შტატებთან ეწევა მოლაპარაკებას იაპონიისათვის 27.250 ტონა საერთო წყალწყვის 17 სამხედრო ხომალდის და 110 თვითმფრინავის გადაცემის შესახებ.

სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის პილოტების მომზადების მიზნით იაპონიის მთავრობა თავის მფრინავებს სასწავლად გზავნის შეერთებულ შტატებში.

ბომინდანელთა მორიგი პროვოკაცია

პეკინი, 11 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს: ტაივანზე ბომინდანელთა ბანდის ნაშთები, რომლებიც შეერთებული შტატების კარნახით მოქმედებენ, თავს დაესხნენ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საპატრულო გემებს და დაბომბეს ჯეძიანის პროვინციის აღმოსავლეთი რაიონი.

9 აგვისტოს 02 საათსა და 30 წუთზე ბომინდანელთა ორი სამხედრო ხომალდი მოულოდნელად თავს დაესხა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საპატრულო გემებს, რომლებიც საპატრულო სამსახურს ეწეოდნენ ტასუს მახლობლად ფუძიანის პროვინციაში. ბომინდანელთა ხომალდებმა საპატრულო გემებს დიდძალი ყუმბარები ესროლეს და მიიმალნენ, როცა მათ საპასუხო სროლა აუტეხეს.

4 აგვისტოს 21 საათზე „რვ-4 უ“ ტიპის ბომინდანელთა ბომბდამშენმა დაბომბა სიანშანის რაიონი ჯეძიანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში და ჩამოყარა ცეცხლგამჩენი და მსხვრევადი ბომბები.

ინდონეზია მონაწილეობას არ მიიღებს აგრესიულ ბლოკებში

ჯაკარტა, 11 აგვისტო. (საკდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს პრემიერ-მინისტრ სასტროამიჯოიოს განცხადებას იმის შესახებ, რომ ინდონეზია არ მიიღებს მონაწილეობას პაქტში, რომელსაც შეერთებული შტატები გეგმავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და არ გაგზავნის არავითარ მეთვალყურეს ამ პაქტის მოსამზადებელ კონფერენციაზე.

გაზეთი „ბერიტა ინდონეზია“ დღეს მოწონავე სტატიაში მხურვალედ მიესალმება ინდონეზიის მთავრობის პოზიციას და მოუწოდებს მოსახლეობას გამოიჩინოს სიფხიზლე და არ დაუშვას ამერიკის აგრესიული გეგმების განხორციელება. „ჩვენ, — წერს გაზეთი, — უნდა დავამყაროთ ნამდვილი მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა აზიის ხალხთა შორის. ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ მშვიდობას, სადაც ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ვიეტნამი, უნდა შეასრულონ დიდმნიშვნელოვანი როლი“.

მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). პარიზის გაზეთები შეშფოთებით წერენ მაროკოს მდგომარეობაზე და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა ამ ქვეყანაში „განსაკუთრებით დაძაბული“ ხდება. ფრანს პრესის საგენტოს ცნობიდან ირკვევა, რომ ბევრი ქალაქის მაროკელი მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საყოველთაო გაფიცვაში, რომელიც გამოცხადდა სულთან სიდი მოჰამედ ბენ იუსეფის გადაყენების წლისთავის გამო. ქალაქ რაბათის არაბულ ნაწილში დახურულია ყველა სავაჭრო დაწესებულება. კასაბლანკაში გაფიცვის შედეგად სრულიად შეწყდა მრავალი საწარმოს მუშაობა, დახურულია არაბთა ყველა მაღაზია, მნიშვნელოვნად შემცირდა კვების პროდუქტების შეზიდვა.

გაზეთი „პარი-პრეს-ენტერნასიონალი“ შიშს გამოთქვამს, რომ მდგომარეობა, რაც პორტ-ლიოტეში მოხდა, შეიძლება გავრცელდეს კასაბლანკასა და რაბათში.

გაზეთი „ფრანს სუარის“ ცნობით, ფრანგი ხელისუფალნი მაროკოში „უშიშროების საგანგებო ღონისძიებებს“ იღებენ. „მაროკოში შექმნილი ტრაგიკული მდგომარეობა, — წერს გაზეთი, — მთავრობის ყურადღებას იქცევს. გენერალური რეზიდენტი უშიშროების მნიშვნელოვან ღონისძიებებს იღებს“. გაზეთები იუწყებიან, რომ კასაბლანკაში ქალაქის ევროპული ნაწილის ქუჩებში ტანკები და ჯავშნიანი მანქანები პატრულობენ.

თოჯინების ცენტრალური თეატრის მსახიობების ინგლისში ყოფნის გამო

ლონდონი, 10 აგვისტო. (საკდესი). ლონდონში დამთავრდა თოჯინების ცენტრალური თეატრის გასტროლები რუსეთის სფსრ სახალხო არტისტ ს. ვ. ობრაზცოვის სამხატვრო ხელმძღვანელობით. გასტროლებმა თვეზე მეტ ხანს გასტანა. თეატრის კოლექტივმა ინგლისელ მაყურებელს უჩვენა სპექტაკლები „არაჩვეულებრივი კონცერტი“, „2:0 ჩვენს სასარგებლოდ“, „ოლადინის ჯადოსნური ლამპარი“ და „ეშმაკის წისქვილი“. გარდა ამისა, ს. ობრაზცოვი გამოვიდა მთელი რიგი სოლო კონცერტებით ინგლისის სხვადასხვა ქალაქში.

ინგლისის საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მსახიობების ოსტატობას. თეატრის დიდ წარმატებას მოწმობს მრავალი რეცენზია და სტატიები უაღრესად სხვადასხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც აღნიშნავდნენ საბჭოთა მსახიობების ნიჭსა და ხელოვნებას.

თეატრის სპექტაკლების დამთავრებასთან დაკავშირებით სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ საღამო გამართა. საღამოზე გამოსულმა საზოგადოების თავმჯდომარემ პრატმა აღნიშნა, რომ თეატრის გასტროლებმა ხელი შეუწყეს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას. საბჭოთა მსახიობების კონცერტები ინგლისში იყო მაღალ მიღწევათა ჩვენება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე თავისებურ ჟანრში.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა, რომელმაც განაცხადა: „მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ეს წარმატება გვახარებს ჩვენ, საბჭოთა წარმომადგენლებს ამ ქვეყანაში, რადგან იგი მოასწავებს სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას გზაზე წინ გადადგმულ ახალ ნაბიჯს“.

ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაცია

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ჰაგიდან იუწყება, დღეს ჰოლანდიისა და ინდონეზიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც აუქმებს ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირს და ითვალისწინებს, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობა მოწესრიგდება ორმხრივი შეთანხმებებით, რომლებიც კავშირს შეცვლიან.

სურათზე: მედიცინის მუშაკთა პიონერულ ბანაკში თავისუფალ დროს.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პიონერულ განაკში

ბორჯომი. (საკ. კორ.). მდინარე ნეძერას მარჯვენა მხარეს, კურორტ ახალდაბაში, წყნეთიანი და ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობზე აღმართულია ლამაზი ორსართულიანი სახლი, სადაც მოთავსებულია საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პიონერული ბანაკი. სეზონის განმავლობაში ბანაკში დაისვენებს 480 ნორჩი მოაგარაკე.

პიონერულ ბანაკში საუკეთესო პირობებია შექმნილი ნორმალური დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის. შემოღებულია ოთხჯერადი კვება. ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ გემრიელი და ნოყიერი საჭმელი, რძე, ხილი და ბოსტნეული. ხშირად ეწყობა ექსკურსიები. ცალკეული რაზმეულები უშვებენ კედლის გაზეთებს. მოწყობილია პიონერთა ოთახი. ჩამოყალიბებულია ლიტერატურის, ჭადრაკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ისტორიის შემსწავლელი წრეები. ეწყობა კონცერტები, უჩვენებენ კინოსურათებს. იმართება შეხვედრები მწერლებთან და შრომის გმირებთან.

კარგი დასვენებისა და კვების შედეგად პიონერმა თ. ჭიხოხელიძემ 26 დღის განმავლობაში 3 კილოგრამი და 700 გრამი მოიმატა, ლ. კერესელიძემ — 4 კილოგრამი, ნ. პონომარენკომ — 3 კილოგრამი და 400 გრამი და ასე შემდეგ.

ბანაკის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა მოსწავლეთა მშობლების ჩანაწერებით. ისინი გულთბილად ახსენებენ ბანაკის დირექტორს ვ. ალავიძეს, ექიმ ნ. იოსელიანს, მასწავლებლებს თ. ვასაძეს, ე. ჯიბუტს და ჟ. საკიანს ბავშვებზე განსაკუთრებული ზრუნვისათვის.

ტურისტული ექსკურსია კიევში

საჩხერის რაიონის მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო ტურისტული ექსკურსია მოძმე უკრაინის დედაქალაქ კიევში.

ექსკურსანტები კიევში დარჩნენ ათ დღეს და დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მათ შორის ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი, დიდი უკრაინელი მწერლის ტ. შევჩენკოს სახლი-მუზეუმი, გამოჩენილი პედაგოგის უშინსკის საფლავი, პეჩორის მონასტერი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და სხვ.

ექსკურსანტებმა კიევში ნახეს სტერეოკინო, ტელევიზორი, დაათვალიერეს პლანეტარიუმი, ერთი დღე გემით იმოგზაურეს მდინარე დნეპრზე და დაათვალიერეს მისი სანაპიროები, იყვნენ ქ. მირგოროდში ფ. გურამიშვილის საფლავზე, ინახულეს გურამიშვილის სახელობის სკოლა.

ოდესიდან ექსკურსანტები უკან დაბრუნდნენ დიზელელექტრომავალ გემ „როსიათი“ და დაათვალიერეს ყირიმისა და შავი ზღვის სანაპიროები.

ბელორუსული ხალხური ორკესტრი

ამ დღეებში ფილარმონიის დიდ სტუდიაზე, აგრეთვე, თბილისის ოპერაცერთ პარკში და რუსთაველ ავენიუზე ორკესტრმა „ბაბორა“ საქართველოში გასტროლებზე მყოფმა ბელორუსის სახელმწიფო ხალხურმა ორკესტრმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტი ი. ჟინოვიჩი.

ორკესტრს პროგრამაში აქვს საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, რუსული კლასიკური მუსიკა, ბელორუსული, უკრაინული ხალხური სიმღერები.

კარგად შეასრულა ორკესტრმა ბელორუსიის დამსახურებული არტისტის, უხუცესი კომპოზიტორის ნ. ჩურკინის ნაწარმოება „ფინალი ბელორუსული სიმფონიიდან“, ბელორუსული ხალხური ცეკვა „ლავონისა“, ხალხური სიმღერა „მწყერი“ და სხვ.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ნ. ბუდაშკინის „კონცერტს დომრისათვის ორკესტრთან ერთად“. აქ გამოირჩეოდა სოლისტი, მუსიკოს შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ა. ოსტრომეცკი.

მომღერალთაგან მოწონება დაიმსახურეს ა. ხამორიადოვმა (ბარიტონი), რომელმაც კარგად შეასრულა კომპოზიტორ მურადელის „პარტია — ჩვენი მესაჭე“, ბელორუს კომპოზიტორ პოდკოვიროვის „ზუბრიონოკი“, ბელორუს კომპოზიტორ სოკოლოვსკის „ნიომანი“, ვ. გულშაკოვმა (ტენორი), რომელმაც შეასრულა ბელორუსი კომპოზიტორის ვ. ოლოვნიკოვის „სიმღერა საბჭოთა კავშირის გმირ პარტიზან კონსტანტინე ზასლონოვზე“ და რუსული ხალხური სიმღერა „სამშობლო“.

წარმატება ხვდა სტ. გულევიჩს (მეცო-სოპრანო), რომელმაც შეასრულა ბელორუსული ხალხური სახუმარო სიმღერა „ჩაბაროკი“, მ. რომიონოვას (სოპრანო), რომელმაც შეასრულა კომპოზიტორ დუნაევსკის „საგზაო“ და „სადღეგრძელო“, ნ. ნეკრასოვს (ტენორი) ხალხური სიმღერების შესრულებისათვის.

ორკესტრი ამ დღეებში კონცერტებს გამართავს გორში, ხოლო შემდეგ საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ჩინეთის სპორტული დელეგაცია თბილისში

თბილისში სამ დღეს სტუმრად იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ხე ლუნი, გაიცნო რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარება. დელეგაციის წევრებმა ინახულეს თბილისის ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის ფიზკულტურული ქალაქი, იყვნენ ლისის ტბაზე და „თბილისის ზღვაზე“, სადაც არის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების „შრომის“, „ლოკომოტივის“ წყალჯოგირდობის სადგურები, დაათვალიერეს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობის მშენებლობა თბილისში.

დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ თ. სხირტლაძემ.

სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლიმუზეუმი.

10 აგვისტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. (საკდესი).

ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრება

მოსკოვი. 11 აგვის